აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№84 (24.964) სამშაბათი, 9 - 10 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 26-31, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის გამთლიანების გზად მშვიდობიანი, გონივრული პოლიტიკა ავირჩიეთ და გვჯერა, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს - საქართველო გაერთიანდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით დაწერა. „14 წელია ჩვენი ქვეყნის გული - სამაჩაბლო, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ქედს ვიხრი ომში დაღუპული ჩვენი გმირი სამხედროებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხსოვნის წინაშე, რომლებიც აგვისტოს ომს ემსხვერპლნენ“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

თავდადება, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა აჩვენეს, აუცილებლად მოიტანს შედეგს, რომელიც იქნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დაბრუნება ცივილიზებულ სამყაროში, - განაცხადა პარტია „ლელოს“ ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, სადაც პარტიის წარმომადგენლებთან ერთად გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. ჯაფარიძის თქმით, საქართველოს ერთგული მეგობრები ქართველი ხალხის გვერდით დგანან და მხარს უჭერენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

* * *

პრეზიდენტის მიერ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილ კანდიდატებს მმართველი გუნდის მხარდაჭერა არ ექნებათ, - განაცხადა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილმა. მისი თქმით, წარუმატებელი კენჭისყრის შემდეგ ახალი კონკურსი გამოცხადდება, სავარაუდოდ, ოქტომბერში, მანამდე კი გიორგი კალანდარიშვილი გააგრძელებს მოვალეობის შესრულებას. სალომე ზურაბიშვილმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტს ასარჩევად თამარ ალფაიძისა და რევაზ ეგაძის კანდიდატურები წარუდგინა. მოქმედი თავმჯდომარე კანდიდატებს შორის ვერ მოხვდა.

* * *

იმ გარემოებებში, რომელშიც დღეს ქვეყანაა, რა თქმა უნდა, საგიზო რეჟიმის საკითხი განხილული უნდა იყოს, - ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ განაცხადა. მისივე თქმით, ქართველებს სტუმრის მიღებას ვერავინ გვასწავლის, მაგრამ სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს. „ჩვენი მოვალეობაა და ქართული სახელმწიფოს მოვალეობაა, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეების ინტერესები დაიცვას და გაურკვეველ, აბსოლუტურად მოგონილ საფრთხეებზე არ ზრუნავდეს“, - აღნიშნა მან.

მოამზადა
ია ფშველიძემ

აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 14 წელი გავიდა. ამ დღესთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო. აქ იმყოფებოდნენ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები

- პატივს მივაგებთ გმირებს, მათ ოჯახებს, ქედს ვიხრი ყველა დაღუპულის წინაშე. ეს უდიდესი ტრაგედია, რაც ქვეყანამ გამოიარა, აღარასდროს უნდა განმეორდეს. ჩვენ მშვიდობიანი, გონივრული პოლიტიკით აუცილებლად გავაერთიანებთ ჩვენს ქვეყანას, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის თქმით, საქართველო აუცილებლად შეძლებს მშვიდობიანად აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

- 14 წელი გავიდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ღია აგრესიიდან, რომელიც ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ოკუპაცია დროებითია და საქართველო აუცილებლად შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მშვიდობიანად, რისი წინაპირობაც საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა. ეს არის შეუქცევადი პროცესი და ქვეყნის განვითარების ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ქედს ვიხრი გმირი ჯარისკაცების წინაშე, რომლებიც შეეწირნენ უთანასწორო ბრძოლას. ვამაყობთ მათი სახელებით. მადლობა მინდა გადავუხადო მათ ოჯახებსა და მშობლებს ასეთი შვილების აღზრდისთვის. ასეთი გმირების წყალობით მოვიდა საქართველო აქამდე, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 14 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებსა და რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ შშმ სტატუსის მქონე მეომრებს თანხას გადასცემს. თანხა ასევე 2012 წელს ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებსაც გამოეყოფა. ჯამში, 27 მეომრის ოჯახზე 81 000 ლარი გაიცემა.

- 2014 წლიდან ჯანდაცვის სამინისტროში პროგრამული ხასიათი აქვს მატერიალური დახმარების კომპონენტს. 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, აგრეთვე იმ მეომრებს, რომლებმაც ომის შემდეგ შშმ სტატუსი მიიღეს, მატერიალური დახმარების სახით აგვისტოში, ამ დღესთან დაკავშირებით, ერთჯერადად 3000-3000 ლარს გადავცემთ. - განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ვეტერანების მხარდაჭერისა და თანადგომისთვის 2

14 წელი - აგვისტოს ომიდან 3

«მჯერა, სიცოცხლე მარადიულია და ამ სამყაროში არ სრულდება» 5

«აქ სიყვარული, თანადგომა, მოფერება და სამოთხე ვნახე» 6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საქმიანი ვიზიტით – საქართველოში

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციას ინეგოლის კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის წევრები ეწვივნენ. ასოციაციის თავმჯდომარემ სტუმრებს ინვესტორთა ასოციაციისა და წევრი კომპანიების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორის ასოციაციის თავმჯდომარე მენნან ფორთაქალი, მარმარისის ქართული ფედერაციის თავმჯდომარე ომერ ფარუქ დემირთაში, ინეგოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები რიდვან ქოჩაა და რეჯაი ბაიქანი, ასევე საკრებულოს წევრი ჯემალ აქთურქი.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობებზე, თურქეთში მცხოვრები ჩვენებური ქართველების მოღვაწეობასა და თურქეთის ქართული დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერებაზე.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში ჩვენებურების აქტიურ ჩართულობასა და ერთობლივი კულტურული აქტივობების დაგეგმვის აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ სტუმრები საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში (განათლება, მშენებლობა და ავეჯის წარმოება). მათ გამოთქვეს ინვესტიციების განხორციელების ინტერესი.

ვეტერანების მხარდაჭერისა და თანადგომისთვის

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს ლევან ზოიძეს და მერის მოადგილეს დავით ვერულიძეს შეხვდა. შეხვედრას ასევე, ესწრებოდნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი ლევან ამირიძე, აჭარის სამმართველოს უფროსი შოთა ყიფიანი, სამსახურის წარმომადგენელი ქობულეთში თამაზ ხახუტაიშვილი, ადგილობრივი ვეტერანები

სამუშაო შეხვედრაზე კობა კობალაძემ ქობულეთის მერს მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, ისაუბრა არსებულ და სამომავლოდ ბიუჯეტში გასათვალისწინებელ პროგრამებზე, რომლებიც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ბენეფიციართა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხება. ვეტერანებმა, ძირითადად, ყურადღება გაამახვილეს მიწის დაკანონების, საშეშე მერქნითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზოიძემ კობა კობალაძეს თანამშრომლობის პირობა აღუთქვა. ასევე, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების წინაშე არსებული გამოწვევების დროულად დაძლევისა და სამომავლოდ განსახორციელებელი პროგრამების შესახებ ისაუბრა. გენერალ-მაიორი კობა კობალაძე თანმხლებ პირებთან ერთად, კურორტ ბეშუმში სახალხო დღესასწაულს „შუამთობას“ დაესწრო. ზეიმზე ცხინვალის ომის ვეტერანს ოთარ მეხეშიძეს „საპატიო ხულოელის“ წოდება მიენიჭა. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა მას სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

კობა კობალაძე ხულოს „ვეტერან ფერმერთა ასოციაციის“ წევრებს შეხვდა. ისაუბრეს როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო გეგმებზე, რომლებიც ადგილობრივი ვეტერანი მეწარმეების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

ანკა ჩხიკვაძე

ქედაში ხის მეჩეთს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ქედის მეჩეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 188 ათასი ლარია გამოყოფილი. ინფორმაციას აჭარის კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის სააგენტო ავრცელებს. ტენდერში წინადადების მიღება 19 აგვისტოს დაიწყება და 24 აგვისტოს დასრულდება, რეაბილიტაცია კი 2022 წლის 11 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები სააგენტოს მიერ მომზადებული პროექტის შესაბამისად უნდა განახორციელოს.

ქედაში, სოფელ ძენწმანში, ხის ჯამე ცენტრალური გზიდან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. შენობა ორსართულიანია და ქვის საძირკველზე დაშენებული ტრადიციული ლაზური სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას წარმოადგენს. შენობას ჩრდილოეთით აქვს მთავარი შესასვლელი. ჯამე ქვის ცოკოლზეა განთავსებული. იგი მე-19 საუკუნით თარიღდება და თითქმის სრულად ინარჩუნებს ავთენტურობას - ქართული საკულტო არქიტექტურის მხატვრული ნიმუშია. აღსანიშნავია, რომ თითქმის ხელუხლებლადაა მოღწეული როგორც ფასადები, ასევე ინტერიერი და ხეზე კვეთილობის ნიმუშებიც. თუმცა ჯამე ამჟამად ავარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს.

ჰერბარიუმის ფონდის მონაცემები საერთაშორისო ქსელში განთავსდება

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ბერლინ-დალემის ბოტანიკურ ბაღთან და მუზეუმთან ერთად, ჩართული იყო რეგიონულ პროექტში - „ამიერკავკასიის მცენარეთა მრავალფეროვნების კონსერვაციის ინსტრუმენტების განვითარება“.

პროექტის ფარგლებში, კავკასიის ბოტანიკური დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, „ფოლცვაგენის ფონდის“ დაფინანსებით, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ჰერბარიუმის ფონდისთვის გამოიყო განათების სისტემა, ციფრული ფოტოაპარატი შტატივით, ციფრული აპარატის ობიექტივი, ნოუთბუქი...

Volkswagen ფონდი კერძო საქველმოქმედო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების ჩატარებას, დახმარებას უწევს უმაღლეს სკოლებს.

მომდევნო წლებში დაგეგმილია ბათუმის ბოტანიკური ბაღის ჰერბარიუმის ფონდის (დაახლოებით 60.000 ნიმუში) სრული აციფრვა და მონაცემების საერთაშორისო ქსელში განთავსება.

ანკა ჩხიკვაძე

მკვეთრად გაზრდილი საწვავის ფასები

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა მკვეთრი ზრდა დაიწყო. ომის დაწყებიდან მალევე Brent-ის ტიპის ნედლი ნავთობის ფასმა ბარელზე 120 დოლარსაც კი გადააჭარბა

ნავთობის გაძვირებამ საწვავის შემოტანა კომპანიებს საქართველოშიც გაუძვირა და ადგილობრივ ბაზარზე ფასები რეკორდულ ნიშნულამდე გაზარდა.

ბოლო 2 თვეში ნავთობის ფასი დასტაბილურდა - Brent-ი დღეს 94 დოლარამდე ღირს, WTI-ის ტიპის ნედლი ნავთობი კი 88 დოლარამდე, რაც ომამდელი ღირებულების ტოლია. ნავთობის ფასის კლების და ლარის კურსის 4-კვირიანი მკვეთრი გამყარების პარალელურად, საწვავის გაიაფებაზე საქართველოშიც ალაპარაკდნენ.

ფასების კლება საქართველოში უკვე დაწყებულია არაბრენდირებულ बენზინგასამართ სადგურებზე, სადაც საწვავი, დაახლოებით, 30 თეთრითაა გაიაფებული. რაც შეეხება, ბრენდირებულ სადგურებს, დიზელზე ფასებმა აგვისტოში უკვე დაიკლო 10-15 თეთრით, बენზინზე კი ჯერ არ შემცირებულა და კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება.

შემოსავლების მიხედვით, საქართველოში უმსხვილესი ნავთობიმპორტიორის, „სოკარის“ ფასების არქივის თანახმად, კომპანიის बენზინგასამართ სადგურებზე იანვარ-ივლისში „ევროორეგულარის“ ტიპის საწვავზე თვიური საშუალო ფასი თითქმის 21.6%-ით გაიზარდა - იანვარში თუ 3.06 ლარი იყო ღირებულება, ივლისში 3.72 ლარამდე ანუ 66 თეთრით მოიმატა.

კიდევ უფრო მეტია ფასნამატი დიზელზე - იანვარში „სოკარის“ სადგურებზე „ევროდიზელის“ საშუალო ფასი 2.98 ლარს შეადგენდა, ივლისში კი საშუალო ფასი 4.66 ლარი ანუ 1.68 ლარით მეტი იყო, რაც 56.4%-იანი ზრდაა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მსხვილ ნავთობიმპორტიორს საქართველოში, „ვისოლს“, „ევროორეგულარის“ ტიპის საწვავის საშუალო ფასმა ამ კომპანიის სადგურებზე იანვარ-ივლისში 20.2%-ით ანუ 63 თეთრით მოიმატა. იანვარში საშუალო ფასმა თუ 3.12 ლარი შეადგინა, ივლისში 3.75 ლარი იყო.

51.6%-ით, 1.62 ლარითაა გაზრდილი ფასები დიზელზე „ვისოლის“ სადგურებზე და ივლისის საშუალო მაჩვენებელი 4.76 ლარს შეადგენს.

მონაცემებიდან ჩანს, რომ წლის დასაწყისში ევროორეგულარისა და ევროდიზელის ფასი ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდებოდა, მეტიც, კომპანიების ნაწილი დიზელს უფრო იაფადაც ყიდდა, თუმცა ახლა მდგომარეობა განსხვავებულია და ორი ტიპის საწვავს შორის თითქმის 1-ლარიანი სხვაობაა.

როგორც კომპანია „სენტა ოილის“ დამფუძნებელი ზაალ იაკობაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განმარტავს, რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი बენზინის ფასი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე დიზელისა და სხვაობას სწორედ ეს განაპირობებს.

ცნობისთვის, საქართველოში საწვავის მთავარი შემომტანი წელს რუსეთი გახდა. 2021 წელს პირველ ადგილზე თურქმენეთი იყო, თუმცა მიმდინარე წელს საწვავის ფასის რეკორდული ზრდის გამო, ნავთობიმპორტიორებს საქართველოში ფასდაკლებული რუსულ საწვავი შემოაქვთ. ტოპ 5 იმპორტიორ ქვეყანაში შედიან რუმინეთი, თურქმენეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანიც.

შაბათ-კვირის ქრონიკა

პროექტ „მედიახმის“ ფარგლებში, ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა. პროექტი ეხებოდა მედიის თავისუფლების, თვითცენზურისა და სოლიდარობის პრობლემებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები რეგიონებშიც გაიმართა. როგორც პროექტის ორგანიზატორმა განაცხადა, ქვეყანაში მედია ახალი გამოწვევების წინაშეა.

* * *

პედაგოგებისთვის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ტრენინგი გაიმართა ბათუმში. მასწავლებლები გაეცნენ ყალბი ინფორმაციის, ვიზუალისა და ანგარიშების იდენტიფიცირების, ასევე, ღია წყაროების გამოყენებით ინფორმაციის გადამოწმების მეთოდებს. ტრენინგ-კურსების მიზანია სკოლებში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა და მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარება.

* * *

უნებართვოდ განთავსებული სქროლები მუნიციპალურმა ინსპექციამ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე გადაიტანა. მუნიციპალური ინსპექცია საზაფხულო სეზონთან დაკავშირებით საგანგებო რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში ახორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე მონიტორინგს.

* * *

სპორტულ თევზაობაში სამოყვარულო ტურნირი გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული მეთევზეების გარდა, აჭარაში ტურისტად მყოფმა მოყვარულმა მეთევზეებმაც მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრება ზღვაზე, სპინინგით და ხელოვნური სატყუარის საშუალებით მტაცებელი თევზის ჭერაში, ე.წ. როკ ფიშინგში გაიმართა. ტურნირი „სპინინგ კლუბ ბათუმის“ და აჭარის მონადირეთა და მეთევზეთა კავშირ „მაჭახელას“ ინიციატივით ჩატარდა.

* * *

ქალაქის გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები: კომახიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ქუჩების კვეთაში დამონტაჟდა საგზაო ნიშნები - „დაუთმე გზა“ და „ქვეითთა გადასასვლელი“. მამულაძის ქუჩაზე შესრულდა შემდეგი ტიპის საგზაო ნიშნების სამონტაჟო სამუშაოები: „დგომა აკრძალულია“, „გაჩერება აკრძალულია“ „ექვემდებარება ევაკუაციას“. ლუკა ასათიანის ქუჩაზე შეიღება ქვეითთა გადასასვლელები.

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

ხსოვნის ტურნირი

აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება. წელს ვეტერანთა ტურნირი ჭადრაკში 6 -7 აგვისტოს ჩატარდა, გუშინ კი ბათუმის ბულვარის ვეტერანთა კლუბში „ნონა“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ტურნირის გამარჯვებულები ბათუმის ბულვარის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა მიქელაძემ მედლებითა და სიმბოლური საჩუქრებით დაჯილდოვა.

ვეტერანთა კლუბის წევრებთან შეხვედრის დროს, ლაშა მიქელაძემ მნიშვნელოვანი სიახლე გააჟღერა. როგორც მან აღნიშნა: „უახლოეს დღეებში დაიწყება ვეტერანთა კლუბის კაპიტალური რეაბილიტაცია, რაც ჩვენს ღვაწლმოსილ ვეტერანებს კიდევ უფრო გაუუმჯობესებს კლუბში არსებულ გარემო პირობებს“.

ანკა ჩხიკვაძე

14 წელი – აგვისტოს ომიდან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

14 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან, რომელმაც 400-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა. დაიჭრა და დაშავდა 2 232 პირი, მათგან 1 045 - სამხედროა

დღეს საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ კვლავ ოკუპირებულია - რუსეთის ფედერაცია განაგრძობს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციასა და მილიტარიზაციას, რეგულარულად ატარებს უკანონო სამხედრო წვრთნებს ქვეყნის ტერიტორიაზე, ინტენსიურად ამაგრებს საოკუპაციო ხაზს მავთულხლართებით და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერით, აგრძელებს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის უკანონო დაკავებისა და გატაცების პრაქტიკას. აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერად რჩება. 14 წლის შემდეგაც ომის შედეგებს მწვავედ გრძნობს როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი, ისე გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა. მძიმეა იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობაც, რომელთაც არ ეძლევათ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა.

რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, ყველა სახელმწიფო უწყებაზე საქართველოს სახელმწიფო დროშა დაეშვა. დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები დაშვებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობებსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

საქართველოს პრეზიდენტი, აგვისტოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, შიდა ქართლში იმყოფებოდა, სადაც სოფელ შინდისში ომში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. პრეზიდენტი, ასევე, ნიქოზის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარში ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო, რომელიც ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა აღავლინა.

აგვისტოს ომში დაღუპულების ხსოვნას გუშინ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე პატივი მიაგეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

- მინდა, ჩემი და მთავრობის სახელით, კიდევ ერთხელ გამოვხატო უდიდესი მოკრძალება და კიდევ ერთხელ გამოვუცხადო მწუხარება ჩვენი გარდაცვლილი გმირების, სამხედროების და არა მხოლოდ სამხედროების, ჩვენი მოქალაქეების ოჯახებს. ჩვენ უდიდესი ტრაგედია გამოვიარეთ აგვისტოს ომის დღეებში. ძალიან ბევრი თანამოქალაქე დავკარგეთ. ჩვენმა სამხედროებმა გვაჩვენეს სამაგალითო გმირობა, თავდადება, თავგანწირვა. მათ ღირსეულად დაიცვეს ჩვენი სამშობლო, თავი შესწირეს ჩვენს სამშობლოს და ჩვენი ძალიან ბევრი თანამოქალაქე გადაარჩინეს. ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. ჩვენს ქვეყანას, პირველ რიგში, მინდა მშვიდობა ვუსურვო და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, იმის გამო, რომ 2008 წელს საერთაშორისო საზოგადოებას სათანადო რეაგირება არ ჰქონდა, რუსულ აგრესიას გაგრძელება მოჰყვა უკრაინაში 2014 და 2022 წლებში. მისივე თქმით, ყველაფერი ეს ერთი მთლიანი აგრესიის ნაწილია.

- ეს წლები არის ერთი მხრივ წლები, როდესაც ჩვენი სახელმწიფო და დაღუპულების ოჯახები ყოველდღიურად ვფიქრობდით მსხვერპლზე, რომელიც ჩვენმა სამხედროებმა და სამოქალაქო პირებმა გაიღეს - 400-ზე მეტი დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირი, 2 ათასზე მეტი დაჭრილი სამხედრო და სამოქალაქო პირი. ამ წლების განმავლობაში ვხედავდით რუსული აგრესიის მზარდ ხასიათს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, შესაძლოა, თავის დროზე, 2008 წელს სათანადო რეაგირება არ ჰქონდა, ვნახეთ, რა მოჰყვა ამას 2014 წელს უკრაინაში, როგორ გაგრძელდა ეს 2022 წელს უკრაინაში, ეს არის ერთი მთლიანი აგრესიის ნაწილი. მნიშვნელოვანია ამ პერსპექტივიდან ვიცოდეთ, რამხელა რისკებია საქართველოსთან დაკავშირებით რუსული აგრესიის მხრივ და სწორედ ამ რისკების გაცნობიერებით იმოქმედოს ჩვენმა სახელმწიფომ, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

აგვისტოს ომს ტვიტერის ოფიციალურ გვერდზე გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი. მან პოსტი ქართულად დაწერა: „დაუსრულებელი ბოროტება ბრუნდება. 14 წლის წინ რუსები საქართველოში შემოიჭრნენ, დაიპყრეს ქვეყნის გარკვეული ნაწილი და დაამყარეს თავიანთი კრიმინალური მონარქია. მაშინ რუსმა მტაცებლებმა პირველად გაუგეს სისხლს გემო. მსოფლიომ მათ შეშფოთებით უპასუხა! რუსეთმა დაიწყო უკრაინის ტერორიც და აწარმოებს ჰიბრიდულ ომს მსოფლიოს წინააღმდეგ. უკრაინელებს საქართველოსთვის არ სჭირდებათ ახსნა, თუ რას ნიშნავს რუსეთი. ჩვენ ეს ვიცით! ისღა დაგვრჩენია, ეს აზრი მივიტანოთ დასავლეთის „მტრედებამდე“. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“.

აგვისტოს ომს ეხმაურებიან ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებიც. „ევროკავშირი ერთხმად, უმკაცრესად გმობს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის საფუძველმოკლებულ და გაუმართლებელ აგრესიულ ომს, ასევე, კვლავ ვგმობთ რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას და ამ ტერიტორიებზე მისი სამხედრო ძალების ყოფნის გაგრძელებას!“, - აღნიშნულია განცხადებაში.

„დამოუკიდებელ საქართველოში შეჭრით რუსეთმა წამოიწყო სასტიკი სქემა, რათა შეეჩერებინა მისი პროევროპული არჩევანი“, - ამის შესახებ ევროპარლამენტის პრეზიდენტი რობერტა მეცოლა სოციალურ ქსელში წერს. მეცოლა აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტი აგრძელებს ქართველი ხალხის გვერდით მტკიცედ დგომას.

აგვისტოს ომის 14 წლისთავს, ასევე, ეხმაურება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა. გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს არის როგორც საერთაშორისო სამართლის, ასევე 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებით რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

განცხადებას ავრცელებს საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოც. „გაერთიანებული სამეფო განაგრძობს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას, დღეს, 14 წლისთავზე, მწუხარებით ვიგონებთ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულებს“, - აღნიშნულია საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფეისბუქ-გვერდზე.

საგარეო უწყება რუსეთს საქართველოდან თავისი ძალების გაყვანისკენ მოუწოდებს

საქართველოს განუყოფელი რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაციის მე-14 წლისთავზე, რუსეთი არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებულ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და აფართოებს საკუთარ უკანონო კონტროლს ოკუპირებულ რეგიონებში, - ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც 7 აგვისტოს გამოქვეყნდა

უწყება განმარტავს, რომ რუსეთი „საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვით, უკანონო დაკავებებითა და გატაცებებით, ადამიანის უფლებების უხეში შელახვით, ქართველთა ეთნიკური დისკრიმინაციით დარტყმას აყენებს ადგილზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ გარემოს, რითიც, სხვა მიზნებთან ერთად ცდილობს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები იზოლაციაში მოაქციოს დანარჩენი საქართველოსგან და საერთაშორისო საზოგადოებისგან. საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში შელახვა, ეთნიკური დისკრიმინაცია და ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნების უფლების დარღვევა კვლავაც რჩება რუსეთის უკანონო ოკუპაციის მძიმე ჰუმანიტარულ ტვირთად“.

როგორც სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ამ ფონზე კიდევ უფრო კრიტიკული ხდება ადგილზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების შეუზღუდავი წვდომა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების განლაგება, აგრეთვე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, მისიის მანდატის მიუხედავად, რასაც სამწუხაროდ, აბრკოლებს საოკუპაციო ძალა.

„საქართველო განუხრელად განაგრძობს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელებას და მოწადინებულია, რომ დიპლომატიური და სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შესაძლებელი გახადოს ქვეყნის გამთლიანება და მშვიდობიანი განვითარება, საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და საერთო ევროპული მომავლის მშენებლობა“, - აღნიშნულია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვეტოს უკანონო და პროვოკაციული მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, შეასრულოს ევროკავშირის წინაშე 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან და შეცვალოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უკანონო გადაწყვეტილება. ამასთან, უწყება მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, კონსოლიდირებული ძალისხმევა მიმართოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებისკენ, ქმედითი ნაბიჯები გადადგას საქართველოსა და მთლიანად რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ია ფფალია

უცხოეთი

ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის გამარჯვებამ შექმნა პირობები სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და ნორმალიზაციის პროცესის დასაწყებად, - ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა. „როცა ყარაბაღი ოკუპირებული იყო, თურქეთი დადგა იმის მხარეს, ვინც მართალი იყო, როდესაც ბრძოლები დაიწყო, თურქეთმა მხარი დაუჭირა აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს“, - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, ომის დასრულების შემდეგ თურქეთი მხარს უჭერს სამშვიდობო პროცესს და ყარაბაღის აღდგენას, ამასთან, სომხეთს მოუწოდებს, თავი შეიკავოს პროვოკაციებისგან. „დაე, იცოდნენ მეგობრებმაც და მტრებმაც, რომ ძვირფასი აზერბაიჯანი არასოდეს არის მარტო“, - განაცხადა ჩავუშოღლუმ.

* * *

ისრაელსა და დაჯგუფება „ისლამურ ჯიჰადს“ შორის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ძალაში შევიდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისმა მადლობა გადაუხადა ეგვიპტეს მოლაპარაკებებში შუამავლობისთვის. შეთანხმების პირობები ჯერჯერობით არ საჯაროვდება, თუმცა ეგვიპტის ოფიციალური სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ზავის ამოქმედების მიზნით, კაირო მუშაობდა ისრაელის მიერ ექვსი დღის წინ დატყვევებული „ისლამური ჯიჰადის“ ბოევიკის გათავისუფლებაზე, ასევე, ისრაელის ციხეში მყოფი მოშიმშილე პალესტინელი პატიმრის მკურნალობის მიზნით საავადმყოფოში გადაყვანაზე. ისრაელსა და დაჯგუფება „ისლამურ ჯიჰადს“ შორის ზავი დაახლოებით 50-საათიან ესკალაციას მოჰყვა, რომელიც ისრაელის მიერ ღაზის სექტორში „ისლამური ჯიჰადის“ ობიექტებზე განხორციელებული დარტყმების შემდეგ დაიწყო.

* * *

ტაივანთან ახლოს წვრთნები გაგრძელდება. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩინელმა სამხედროებმა, ტაივანთან ახლოს, ბალისტიკური რაკეტები გაუშვეს, რომელთა ნაწილი წყალში ჩავარდა. ოფიციალური ტოკიოს ცნობით, ეს ტერიტორია მისი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონაა. 1-ელ აგვისტოს, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ჩუაო ლიცზიანმა განაცხადა, რომ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ნენსი პელოსის ტაივანში ვიზიტი ჩინეთის შიდა საქმეებში უხეში ჩარევა იქნებოდა. პეკინის პოზიციის მიუხედავად, პელოსი ტაივანში ჩავიდა, რის გამოც ჩინეთის ხელისუფლებამ პელოსისა და მისი ოჯახის წევრებს სანქციები დაუწესა.

* * *

ხორბლით დატვირთული კიდევ ოთხი გემი გავიდა უკრაინის პორტებიდან. ქვეყნის ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ოთხ ბორტზე 170 000 ტონამდე სოფლის მეურნეობის პროდუქტია განთავსებული. „უახლოეს მომავალში ვგეგმავთ, პორტებმა შეძლონ თვეში, მინიმუმ, 100 გემის გაყვანა. ასევე, ვგეგმავთ იუჟნის პორტის სრულ ინტეგრირებას ინიციატივის განხორციელებაში და ამის წყალობით, მყიდველებისთვის კიდევ უფრო დიდი ქარავნების გაგზავნას, თვეში მინიმუმ 3 მილიონ ტონამდე“, - განაცხადა ინფრასტრუქტურის მინისტრმა ალექსანდრე კუბრაკოვმა. გემები იტალიის, ჩინეთისა და თურქეთის პორტებში იგზავნება.

მოამზადა
ია ფფალიანმ

„აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ეკუთვნის“

რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საგარეო უწყება, დიპლომატები და მეგობარი ქვეყნების ლიდერები გამოეხმაურნენ. მათ დაგმეს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაცია და აღნიშნეს, რომ ფაქტი საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა, ამასთან, მტკიცედ დაუჭირეს მხარი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„აჭარა“ გთავაზობთ ტვიტერის პირად გვერდებზე გუშინ გამოქვეყნებულ რამდენიმე გამოხმაურებას.

ხავიერ კოლომინა - სამხრეთ კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი:

- როგორც მადრიდის სამიტზე იყო დადასტურებული, ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და კვლავაც მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოდან.



ენტონი ბლინკენი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:

- დღეს რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრის 14 წლისთავია. კრემლმა უნდა შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ჯოზეფ ბორელი - საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი:

- 14 წელი გავიდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან. ევროკავშირი გმობს რუსეთის განგრძობად უკანონო სამხედრო ყოფნას საქართველოს ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. ევროკავშირი დგას საქართველოს, მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გვერდით და მხარს უჭერს კონფლიქტების მოგვარებას.

მარინა კალიურანდი - ევროპარლამენტარი:

- 14 წლის წინ რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და დაიწყო ომი, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი, ტანჯვა და ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ და არ ვაპატიებთ მას. ევროპარლამენტი მტკიცედ დგას საქართველოს გვერდით მოთხოვნაში, შეწყდეს რუსული ოკუპაცია და აღდგეს მისი ტერიტორიული მთლიანობა.

ედგარს რინკევიჩსი - ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი:

- 14 წლის წინ რუსეთმა ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. თუ მაშინ აგრესია საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეჩერებული იქნებოდა, ჩვენ ალბათ არ გვექნებოდა რუსეთის უკრაინაში შეჭრა. ლატვია ადასტურებს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

პეკა ჰაავისტო - ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:

- რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის 14 წლისთავზე, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ფინეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ეკუთვნის.

მოამზადა
ია შველიძემ

მარო ზოიძე: ჩემმა შვილმა ნათლიასთან ერთად თავი აიფეთქა, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს აჭარის რეგიონიდან 20 მეომარი შეეწირა. მათი მშობლები, მეუღლეები, შვილები და ახლობლები ყოველწლიურად ბათუმში, გმირთა მემორიალთან იკრიბებიან და პატივს მიაგებენ დაღუპულების ხსოვნას

ერთ-ერთი მეომრის დედა მარო ზოიძე აგვისტოს ომის დღეებს იხსენებს, რა დროსაც მისი 20 წლის შვილი, რომან ზოიძე ნათლიასთან ერთად იბრძოდა. იგი სენაკის მეორე ბრიგადის ჯარისკაცი იყო.

- დნმ-ის ანალიზით ამოვიცანით ჩვენი შვილი, სხვანაირად შეუძლებელი იყო ამოგეცნო გარდაცვლილი. ჩემი შვილი და მისი მეგობრები არ ჩაბარდნენ ტყვედ რუსებს. რომანი ფეხში იყო დაჭრილი, ძლიერი გამაყუჩებელი უთხოვია ექიმისთვის, იქნებ გავაგრძელო ბრძოლა საქართველოსთვისო. ყველაზე ცხელ წერტილში იმყოფებოდა, დაჭრილი ჯარისკაცები მხრებით გამოყავდა სამშვიდობოს. როცა ჩვენი ბიჭები ისვენებდნენ, სულ ჩვიდმეტნი იყვნენ, 200-მდე რუსი დასხმოდნენ თავს. ამათ წინააღმდეგობა გაუწევიათ. საათი და 20 წუთი გაგრძელდა ეს ბრძოლა, ალყაში იყვნენ ჩემი შვილი და მისი ნათლია ალეკო ონიანი. ალეკოს უთქვამს, ცოცხალი თავით არ ჩავბარდებიო, ჩემს შვილსაც იგივე უთქვამს... თავი აიფეთქეს, სიტყვები არ მყოფნის, ისეთ ტკივილს განვიცდი, თუმცა მეამაყება, რომ ასეთი შვილი გავუზარდე საქართველოს, პატრიოტი, გმირი. ყოველთვის ამბობდა, მე სამშობლოს უნდა ვემსახურო, საქართველო მეძახისო. ეს იყო მისთვის მთავარი ცხოვრებაში. ალბათ. წინასწარ გრძნობდა თავის მომავალს, - იხსენებს მარო ზოიძე.

ომში გარდაცვლილ მეუღლეზე ყვება მანანა ფუტკარაძეც, რომელიც უკვე 14 წელია, შვილებთან ერთად, გმირთა მემორიალთან ყვავილებით პატივს მიაგებს დაღუპული მეუღლისა და მისი მეგობრების ხსოვნას.

- ჩემი მეუღლე, თეიმურაზ ბერიძე 34 წლის იყო, როდესაც ომში წავიდა. ის კონტრაქტით იმყოფებოდა ჯარში, სენაკში მსახურობდა. ყოველთვის მიძნელდება ამაზე საუბარი, ბედნიერი არ ვარ, თუმცა სიამაყის განცდა მეუფლება, როდესაც ვაცნობიერებ, მან და მისმა მეგობრებმა რა გააკეთეს სამშობლოსთვის. უკან არ დაუხევია არცერთს, შეუპოვრად, მედგრად იდგნენ მტრის წინაშე. გვირეკავდა შეძლებისდაგვარად, მეუბნებოდა, დავბრუნდებიო, აქეთ მამშვიდებდა, მამხნევებდა, მე და ჩვენს შვილებს გვაიმედებდა. იმდენად უყვარდა თავისი საქმე, რომ არასოდეს არ დაუხევია უკან. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: დაურეკეს მოულოდნელად. ჯარის თემა იყო, შეეძლო უარის თქმა, რაღაცის მომიზეზება, თუმცა წავიდა ისე, რომ არც უთქვამს ჩვენთვის, სად მიდიოდა, რომ არ გვენერვიულა და ბევრი არ გვეფიქრა მასზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო აჭარის მთავრობის, ჯანდაცვის სამინისტროს დახმარება. მუდმივად ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას, თანადგომას. ჩემი შვილები დღეს აქ არიან. მთავრობის თავმჯდომარე შეხვდა მათ, დაელაპარაკა, თანადგომა გამოუცხადა. ეს დიდი სტიმულია მათთვის. ისინი ყოველთვის იამაყებენ მამით, მისი გმირობით, - გვითხრა მანანა ფუტკარაძემ.

უკრაინა

უკრაინამ რუსეთის საკუთრებაში არსებული 903 ობიექტის სია შეადგინა, რომლის კონფისკაციაც უკრაინელების სასარგებლოდ მოხდება. ამის შესახებ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა განაცხადა, რასაც მთავრობის ვებგვერდი ავრცელებს. პრემიერის თქმით, „ამ ობიექტების სიაში ასობით შენობა, კორპორატიული უფლებები, მიწის ნაკვეთები და ფინანსური აქტივები შედის“. შმიგალი ამბობს, რომ ობიექტები სამ კატეგორიად იყოფა. ეს არის რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილი ქონება, ასევე სანქციირებული მოქალაქეებისა და რუსული კომპანიების საკუთრებაში არსებული აქტივები და რუსული ბანკების აქტივები. მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ ამ სტრატეგიაში „შემდეგი დიდი ნაბიჯი“ იქნება, როცა უკრაინის აღსადგენად რუსული აქტივების კონფისკაცია დასავლეთშიც მოხდება.

* * *

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფსევდორეფერენდუმებისკენ გადადგმულ რუსეთის თითოეულ ნაბიჯს პასუხი იარაღის მიწოდების გაზრდით უნდა გაეცეს - აგრესორმა ყოველი ნაბიჯის ფასი უნდა გაიგოს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერზე“ წერს. „კრემლი ცდის მსოფლიოს მზადყოფნას, „ჩაყლაპოს“ ანექსია და წინააღმდეგობას ვერ ხედავს. აგრესორმა უნდა გაიგოს მისი ყოველი ნაბიჯის ფასი. წითელი ხაზები უნდა გამოიკვეთოს“, - წერს პოდოლიაკი. შეგახსენებთ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ თუ რუსეთის ფედერაცია უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე. წ. რეფერენდუმებს ჩაატარებს, ის ამით უკრაინასთან მოლაპარაკებების ყველა შესაძლებლობას დახურავს.

* * *

გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსმა დამპყრობლებმა ხარკოვის ოლქი დაბომბეს, მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაჭრილები და დაღუპულები, - ამის შესახებ ხარკოვის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოლეგ სინეგუბოვი „ტელეგრამში“ იუწყება. „თავდაცვის შტაბმა ღამით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან რაკეტის 5-ზე მეტი გაშვება დააფიქსირა. წინასწარი ინფორმაციით, ესაა C-300 ტიპის რაკეტები. ზოგიერთი მათგანი მანამდე აფეთქდა, ვიდრე დანიშნულების ადგილს მიაღწევდა. თავდასხმის შედეგად 72 წლის ქალი დაიღუპა. დღის განმავლობაში ჩუგუევჩინაც დაბომბეს. ცეცხლი გაუჩნდა კერძო სახლების სახურავებს და სამოქალაქო პირების კუთვნილ სხვა შენობებს“, - განაცხადა სინეგუბოვმა.

* * *

უკრაინულმა ძალებმა 24 თებერვლიდან 8 აგვისტომდე 42 340 რუსი სამხედრო მოკლეს, აქედან 140 - ბოლო 24 საათში, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. „უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს: 1811 ტანკი, 4070 ჯავშანტექნიკა, 960 ერთეული საარტილერიო სისტემა, 261 ერთეული მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 132 ერთეული საჰაერო თავდაცვის სისტემა, 223 საბრძოლო თვითმფრინავი, 192 ვერტმფრენი, 754 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 15 გემი/ნავი, 2993 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 86 ერთეული სპეცტექნიკა და 182 ფრთოსანი რაკეტა“, - აცხადებენ უკრაინის გენშტაბში.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება აცხადებს, რომ თუ რუსეთი თავის ვალდებულებებს შეასრულებს, "მარცვლეულის დერეფანი“ გააგრძელებს გლობალური სასურსათო უსაფრთხოების შენარჩუნებას. „უკრაინული მარცვლეულით დატვირთული პირველი გემი თურქეთში ჩავიდა. ეს იმედის სიგნალს უგზავნის ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და აზიის ყველა ოჯახს. უკრაინა არ მიგატოვებთ. თუ რუსეთი შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „მარცვლეულის დერეფანი" გააგრძელებს გლობალური სასურსათო უსაფრთხოების შენარჩუნებას“, - აცხადებს კულება. მისივე თქმით, უკრაინა, რუსეთისგან განსხვავებით, „შიმშილის თამაშებს“ არ თამაშობს. „ჩვენ ყოველთვის ვიყავით, ვართ და ვიქნებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების საიმედო მიმწოდებელი. რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვთამაშობთ „შიმშილის თამაშებს“, - აღნიშნა კულებამ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„მჯერა, სიცოცხლე მარადიულია და ამ სამყაროში არ სრულდება“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი სტუმარი ყველასათვის საყვარელი, ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ***ლაშა მარგიანია.*** *შეუძლებელია მისი ლექსები წაიკითხო და საკუთარი თავი არ ამოიცნო მათში, შენი ყოველდღიურობის ნაწილი არ გახდეს... იმდენად ღრმა შინაგანი სამყაროა და მდიდარი ბუნება აქვს, მისი ჩანაწერის თითოეული სიტყვაც კი გაფიქრებს. „აჭარის“ მკითხველი ამ ბლიც-ინტერვიუს საშუალებით მას უფრო ახლოს გაიცნობს.*

დავიბადე - ორი ზომით ვიწრო ქვეყანაში, მაშინ, როცა ჩემი სამშობლო კვდებოდა.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - ჩემი ოჯახი. ბერტოლდ ბრეხტის სიტყვებით თუ ვიტყვი, ასევე „ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებს ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ძლიერები არიან და რომ მათ ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ“.

ვიქნებოდი - უკანასკნელი პოეტი.

საყვარელი ადგილი - მთა.

სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ - უბრალოდ.

ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ - ყველა რჩევა უსარგებლოა.

საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი - მიმდინარეობა - რეპი, შემსრულებელი - 2pac-ი.

ბოლოს წავიკითხე - ალბერ კამიუს „ამბოხებული ადამიანი“.

მოგონება ბავშვობიდან - როცა მამა ჩემი გულისთვის საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. მას შემდეგ 23 წელია გასული და ჯერ კიდევ ვერ დაბრუნდა.

ჩემზე ამბობენ - რომ ლაშა მარგიანი ვარ.

არასდროს - შემიხედავს ცხოვრებისთვის ვარდისფერი სათვალით.

მეშინია - საკუთარი თავის.

ვიბრძოლებ - ყველგან, სადაც სიმართლეს უსამართლობა გადაწონის.

განვიცდი - რომ სმენა არ მაქვს და სიმღერა არ შემიძლია, უფრო კი იმას, რომ ქრისტე ჯვარს ვაცვით.

სხვებისგან განვსხვავდები - იმით, რომ მე მათი გაგება შემიძლია, ისინი მე ვერასდროს გამიგებენ.

ჩემი თვისებებიდან ვმალავ - ყველაფერს, რასაც ადამიანზე ზემოქმედებისა და ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

ბავშვობაში მეგონა - რომ ახლა უკვე მკვდარი ვიქნებოდი.

დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა - როცა ლექსების წერა დავიწყე.

10 წლის შემდეგ - მინდა 10 წლის შვილი მყავდეს.

არ მჯერა - პოლიტიკოსების.

ვაპროტესტებ - იმას, რომ მოკვდავი ვარ.

უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე - მინდა, სმენა მქონდეს და სიმღერა შემეძლოს.

მინდა გავიცნო - ყველა მკვდარია, ვისი გაცნობაც მენდომებოდა.

ფრაზა, რომელსაც ხშირად ვიყენებ - ვუყურებ ადამიანებს და არ ვიცი, ვის ვკითხო:

ნუთუ მხოლოდ ეს არის,
ნუთუ მხოლოდ ეს არის,
ნუთუ მხოლოდ ეს არის
ყველაფერი...

ბოლოს ვიტირე - გარდაცვლილი ბიძაჩემის დაბადების დღეზე.

სიტყვა, რომელიც არ მიყვარს - არ მიყვარს არცერთი სიტყვა, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისგან აშორებს.

საკუთარ თავში მომწონს - ის, რომ შეშლილი ვარ.

საკუთარ თავში არ მომწონს - ყველაფერი, რასაც ვერ მოვერიე.

სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ - უბრალოებას.

მაღიზიანებს - ტყუილები და ღამის თენება.

ყველაზე რთული პერიოდი - როცა მივხვდი, რომ ჩემნაირებს სიცოცხლეში არ აღიარებენ.

საკუთარ თავში შეგცვლიდი - ცოდვებით თუ უცოდველობით, ცუდით თუ კარგით, ალბათ, ისეთი ვარ, როგორიც უნდა ვიყო.

ყველაზე ბედნიერი ვარ - როცა ოჯახის ყველა წევრი ერთად ვართ.

ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ - ნივთის არ ვიცი, მაგრამ ჯვარს არასდროს ვიხსნი, აბსოლუტურად არასდროს.

ვერასოდეს ვაპატიებ - მეშინია ცხოვრებაში ისეთი რამის, რის პატიებასაც ადამიანისთვის ვერ შევძლებ. ეს ორივეს გაგვანადგურებს.

საუკეთესო, რაც მაქვს - სიყვარულის უნარი.

ვნანობ - ყველაფერს, რაც ცხოვრებაში ვერ გავბედე.

მჯერა - რომ სიცოცხლე მარადიულია და ამ სამყაროში არ სრულდება.

ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია - სიცოცხლე.

ყველაზე გამაღიზიანებელი შეკითხვა ადამიანებისგან - ისევ წერ?

ახლა ყველაზე მეტად მინდა - ისე გაერთიანდეს ხალხი სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო, როგორც 9 აპრილს და მე მისი ნაწილი ვიყო.

ჩემი უახლოესი გეგმა და მიზანი - გეგმებითა და მიზნებით არ ვცხოვრობ. როგორც სახარებაშია, ხვალინდელმა დღემ თვითონ იზრუნოს საკუთარი თავისთვის, მე დღევანდელი დღით ვცხოვრობ... მაგრამ მაინც ძალიან მინდა, უახლოეს თვეებში ჩემი ლექსების პირველი კრებული დავბეჭდო.

ქედელი გიორგი ჩხიკვაძე „ეტალონის“ გამარჯვებულია

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

2022 წლის ივლისში ეტალონის ფინალური ეტაპი ჩატარდა, სადაც ***გიორგი ჩხიკვაძემ*** *გაიმარჯვა. ახალგაზრდა ფიქრობს, რომ წარმატებაში დროის მაქსიმალურად გამოყენება და სისწრაფე დაეხმარა. გიორგი ქედაში, სოფელ ოქტომბერში ცხოვრობს, ამავე სოფლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა. გიორგი ჩხიკვაძე ჩვენი სტუმარია.*

- გიორგი, ძირითადად, რა საკითხები იყო „ეტალონის“ ფინალურ ეტაპზე?

- სულ 20 კითხვა იყო თითქმის ყველა საგნიდან, ძირითადად კი ისტორიიდან. რამდენიმე მათგანზე არ ვიცოდი პასუხი, თუმცა ვიმუშავე გამორიცხვის მეთოდით და გაამართლა - მივედი სწორ დასკვნამდე.

- ვინ იყო თქვენ გვერდით ამ დროს?

- ტესტირებამდეც და შემდეგაც ჩემ გვერდით „რესურსცენტრის“ წარმომადგენლები იყვნენ, ასევე ჩემი მშობელი. რამდენადაც მახსოვს, აჭარიდან სამი წარმომადგენელი ვიყავით ტესტირებაზე, - ქედიდან, ქობულეთიდან და ბათუმიდან.

- როგორ სწავლობთ სკოლაში?

- უკვე მეთორმეტე კლასის მოსწავლე ვარ, ვთვლი, რომ ნორმალურად ვსწავლობ. მასწავლებლებიც, ალბათ, დადებითად შემაფასებენ. მომავალში სწავლას მეტი შემართებით გავაგრძელებ.

- წარმატების შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?

- მეტად დავინტერესდი სწავლა-განათლებით. როცა ცნობილი ხარ, როგორც ეტალონის გამარჯვებული, ეს რეგიონში მცხოვრებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

- ნერვიულობდით თუ არა კონკურსის წინ?

- არ ვნერვიულობდი, თუმცა ეს მანამ, სანამ კომპიუტერთან არ დავჯექი სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ვთვლი, რომ ცოტა ნერვიულობა ყველაფერს თან ახლავს, მთავარია, როგორ აიყვან თავს ხელში და როგორ გაუმკლავდები გამოწვევას.

- როგორ ფიქრობ, გამარჯვებაში ნიჭთან ერთად, კიდე რა ფაქტორი დაგეხმარა?

- რომ არა ქედის მერიის მუნიციპალიტეტი, ეტალონის კონკურსში მონაწილეობის მიღებას ვერ შევძლებდი. სწორედ მათი ჩართულობით შევძელი მონაწილეობა. სკოლისა და ოჯახის წვლილიც უდიდესია. პედაგოგების დამსახურებაა ის, რომ ტესტირებისას მათგან მიღებული ცოდნა გამოვიყენე. ეს მომავალშიც ბევრჯერ გამომადგება. ოჯახის წევრებმა მომცეს იმის საშუალება, რომ მოვმზადებულიყავი ფინალური ეტაპისათვის. ეტალონში ადრეც მიმიღია მონაწილეობა და ეს გამოცდილებაც გამომადგა წარმატების მიღწევაში.

ბათუმში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ბანაკი გაიხსნა

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკის „ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის“ პროექტის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ბაზაზე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ბანაკს მართავს

ბანაკში მონაწილეობს კონკურსით შერჩეული სხვადასხვა საჯარო სკოლის 75 მოსწავლე მთელი საქართველოდან (თბილისი - 30, კახეთი - 20, შიდა ქართლი და მცხეთა-თიანეთი - 10, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 20, აჭარა - 20, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი - 10, იმერეთი - 20, გურია - 10, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 10), რომლებიც STEM -ის მიმართულებით მათი გამოცდილებისა და მოტივაციის საფუძველზე შეირჩნენ. მონაწილეობის სურვილი 2 000-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა. მათ პროექტის ფარგლებში სრულად დაუფინანსდათ ბანაკში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

რვა დღის განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების აქტუალურ საკითხებს და მიიღებენ საწყის ცოდნას ტექნოლოგიებსა და მეწარმეობაში, რაც შემდგომ STEM-ის მიმართულებით კარიერის შერჩევაში დაეხმარებათ.

8 დღის განმავლობაში მოსწავლეები: იმუშავებენ არდუინოსა და პროგრამირებაზე, მოისმენენ სამეცნიერო-პოპულარულ ლექციებს ხელოვნურ ინტელექტზე, რობოტიკაზე, ასევე ბიოქიმიასა და ასტროფიზიკაზე, გაეცნობიან სამეწარმეო და სტარტაპ მიდგომებს თანამედროვე ტექნოლოგიებში, ჩაატარებენ სახალისო სამეცნიერო ექსპერიმენტებს, მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა საინჟინრო შეჯიბრებაში.

ანკა ჩხიკვაძე

500-ზე მეტ დევნილ ოჯახს ფართები დაუკანონდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ დევნილებს ფართები დაუკანონდა ზუგდიდის, მცხეთის, წყალტუბოს, ხონის, აბაშის, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის მუნიციპალიტეტებში. „ჯამში გადაეცა როგორც საცხოვრებელი ფართები, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სულ 1 375 დევნილი ოჯახი გვყავს, რომლებსაც, 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში, საკუთრება დაუკანონდათ. ასევე გვყავს 83 დევნილი ოჯახი, რამდენიმე ასეული დევნილი, რომლებსაც, ასევე ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა ტერიტორიაზე ფართები დაუკანონდა. შესაბამისად, ისინი მათ გამოყენებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სრულფასოვნად შეძლებენ", - განაცხადა მინისტრმა.

ამირან გურიელიძე

«აქ სიყვარული, თანადგომა, მოფერება და სამოთხე ვნახე»

სახალხო დღესასწაული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის მთიანეთში დავანებული სახალხო დღესასწაულ «შუამთობას», შეიძლება ითქვას, ბადალი არ მოეძებნება. წელს გამართული ეს ზეიმი მეზობელი თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებმა, ქალაქ ინეგოლის კავკასიური კულტურის ცენტრის (დერნეგის) დირექტორმა, ცნობილმა ბიზნესმენმა მენან ფორთოქალმა (ფუტკარაძემ) ასე შეაფასა: «აქ სიყვარული, თანადგომა, მოფერება და სამოთხე ვნახე»

ათასწლეულების წიაღიდან იღებს სათავეს «შუამთობა». პანდემიამ ამ ზეიმსაც გაუჩინა ბზარები, მაგრამ უფლის ნებით და ხალხის შემართებით, ისევ დადგა ზეიმის დრო. ამჯერად «შუამთობის» კვირეული გამოცხადდა, რათა დიდი და პატარა მთებსაც, იქ მყოფ მემთეურებს, მათ სტუმრებს ხულოს, შუახევის კულტურის ცენტრებთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების, თბილისიდან, ბათუმიდან მოპატიჟებული ცნობილი მომღერლების ხელოვნება ენახათ.

ყველაზე მეტი მოზეიმე კურორტ ბეშუმის

შემოგარენში, ჩირუხის, ღომას, გრძელგორის, სარიჩაირის ტერიტორიებზე იყო. გთავაზობთ იქ გამართული ღონისძიებების ქრონიკებს.

* * *

აჭარის მთიანეთში იტყვიან: ღონისძიებას მორგებული ამინდი დიდი ნადის ტოლია. 15-მდე სოფლის მცხოვრებლები ზაფხულობით პირუტყვს ბეშუმის მიმდებარე იალაღებზე მიერეკებიან, ვაშლოვანის, დიდაჭარის, დიოკნისის, რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულების 20-მდე სოფლის მეცხოველეები კი პირუტყვს გოდერძის უღელტეხილის მწვანე და შავი ტბების შემოგარენში აბინავებენ. აქ მყოფი მემთეურები, მწყემსები, მათი სტუმრები, დამსვენებლები შეიკრიბნენ ბეშუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ «შუამთობაზე».

- უპირველეს ყოვლისა, ყველა დამსწრეს მინდა მივულოცო დღევანდელი ზეიმი, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, - «შუამთობა» აჭარის მთიანეთის მკვიდრთა ყოფაში შემონახული ტრადიციული დღესასწაულია. ბოლო წლებში პანდემიამ ხელი შეუშალა სახალხო დღესასწაულის გამართვას. წელს ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აჭარის მთავრობას მომართა, რომ ფართომასშტაბიანი ყოფილიყო ეს ზეიმი. ჩვენს სამინისტროს ამ ღონისძიების მხარდაჭერა დაევალა. ყველაფერი გავაკეთეთ ამ დღის გასალამაზებლად.

დღის 12 საათისთვის სახელდახელო სცენა მზად იყო. ცნობილმა მომღერლებმა სოფო ხალვაშმა, თემურ თათარაშვილმა, ნუგზარ ერგემლიძემ, მაკა ზამბახიძემ, რუსა მორჩილაძემ, თიკა ფაცაციამ, ვერიკო ტურაშვილმა, მანანა თოდაძემ, ანსამბლმა «ფორტემ» კიდევ ერთხელ მოხიბლეს მაყურებელი. მათ არც ხულოს კულტურის ცენტრთან, სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლები «ბერმუხა», «ხულო», «ციცინათელა» ჩამორჩნენ.

- ამ მთების სილამაზე, აქაური ადამიანების გამრჯე შრომის შედეგი პირველად ვნახე. ცხოვრობდე, იღვწოდე საქართველოში და ყველაფერ ამას არ მოეფერო, ცოდვად მიმაჩნია. შევეცადე ენერგიის სრული მობილიზებით გამოვსულიყავი სცენაზე და მოზეიმენიც ამეყოლიებინა. შეფასება დამსწრეებმა მხურვალე აპლოდისმენტებით გამოხატეს. ყველა მონაწილეს ვულოცავ ამ დღეს, - გვითხრა თიკა ფაცაციამ. მაყურებელი მაკა ზამბახიძემაც კარგად აიყოლია.

კომენტარი მომღერალ ნუგზარ ერგემლიძეს ვთხოვეთ: - «შუამთობის» დღესასწაულს მესამედ ვესწრები. ბათუმში დაბადებული ადამიანისთვის ეს ზეიმი უცხო ვერ იქნება. დედა კირნათის სკოლა-ინტერნატში მასწავლებელი იყო. მეც იქ ვსწავლობდი. ეს ურთიერთობებიც მაშინ ჩამოყალიბდა. წლევანდელ «შუამთობას» ბადალს ვერ მოვუძებნი.

«შუამთობის» მოზეიმეებს მიესალმა და დღესასწაული მიულოცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ.

- ყველას მოგეციით პირობა, რომ წელს უფრო დიდი მასშტაბის ზეიმს მოვაწყობდით. როცა ყველაფერს თვალს ვავლებ, ვრწმუნდები, რომ სიტყვა შევასრულეთ. დღევანდელი ზეიმი მემთეურებს ეკუთვნით. პირველ რიგში, მათ მივულოცავ. ისინი რთულ კლიმატურ პირობებში კეთილსინდისიერი შრომით ქვეყანას, ოჯახს დოვლათს უქმნიან, მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ მთა გაძლიერდეს. იმ პროექტებს, რომელიც შეგპირდით, ბოლომდე მივიყვანთ. ეს იქნება კეთილმოწყობილი გზა, სოფლების გაზიფიცირება. ჩვენი მიზანია აჭარის მთიანეთი გავაძლიეროთ, ცხოვრება, შრომა ადამიანებს შევუმსუბუქოთ.

მთავრობის თავმჯდომარემ მოზეიმეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვა გადასცა და წარმატებები უსურვა. თორნიკე რიყვაძემ ასევე «საპატიო ხულოელის» დიპლომები გადასცა ცნობილ მეცნიერს, საქართველოში არსებული მათემატიკური სკოლის მიმდევარს, პროფესორ ონისე სურმანიძეს და წარსულში ცნობილ სპორტსმენს, პოლიციის ორგანოების ვეტერან ოთარ მეხეშიძეს.

შეკრებილებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე.

მაყურებლის სიყვარული არ აკლია ანსამბლ «ბერმუხას». დასანანია, რომ განვლილ პერიოდში მის რიგებს რამდენიმე წევრი გამოაკლდა. 40 წლის განმავლობაში «შუამთობის» მოზეიმეებს «განდაგანას» უბადლო შესრულებით ახალისებდა საუკუნის თანატოლი მუხამედ ირემაძე. წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

ამის შესაძლებლობა აღარ მიეცა. მთებს ექოდ არ მოეფინა დეკლამატორ ნინო ქარცივაძის ხმა - ის მალე დედა გახდება. სამაგიეროდ, ბეშუმის შემოგარენში გამართულ «შუამთობას» ახალი სული შთაბერეს წამყვანებმა, პოეტებმა ნანა შაინიძემ და სულხან წულუკიძემ.

წლევანდელ «შუამთობაზე» მეკეიძეებელი თამთა ბერიძესა და რამაზ ხოზრევანიძეს ოჯახის შექმნა სამახსოვრო საჩუქრით თორნიკე რიყვაძემ მიულოცა.

ტრადიცია არც წელს დაარღვიეს ხიხაძირის, სხალთის, აგარის, რიყეთის, ღორჯომის, ვაშლოვანის და სხვა ადმინისტრაციული ერთეულების მკვიდრებმა. მათ ზეიმზე მოიტანეს ადგილობრივი კულინარიისთვის დამახასიათებელი კერძები, ხელოვნების ნიმუშები, ხელოსნების ნამუშევრები. ყველას დაამახსოვრდება ის სიტყვები, რომელიც იზოლდა სურმანიძემ, არჩილ მარკოიძემ, ლევან ხოზრევანიძემ, გურამ ხალვაშმა წარმოთქვეს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ღორჯომელ ხელოვანს მზევინარ ირემაძეს განსაკუთრებულად მოეფერა თორნიკე რიყვაძე.

სპორტული ღონისძიებები განსაკუთრებით ბევრ გულშემატკივარს იზიდავს. ასე იყო ამჯერადაც. «შუამთობა-2022» ფალავნობის პრიზისა და ჯილდოს მოსაპოვებლად ფინალში ერთმანეთს აჭარის ორგზის ფალავანი რუსლან შავაძე და დავით ანანიძე დაუპირისპირდნენ. ცხვარი და ჯილდო რუსლან შავაძეს ერგო. მკლავჭიდში ბადალი არ ჰყავდა ფირუზ ჭელიძეს. წინა წლების მსგავსად დოღში ღორჯომელმა ჯემალ გორგაძემ იმარჯვა.

საღამოს ზეიმი ცალკეულ მთებში გაგრძელდა. ცეკვა-სიმღერა ახმიანებდა, მოგიზგიზე კოცონები ანათებდა საკამბეჩოს, ლოდიძირის, ყორნალას, უჩხოს, თაგოს, ლეკნარის და სხვა ტერიტორიების შემოგარენს.

* * *

- ამ მთებში ასეთ სილამაზეს თუ ვნახავდი, არ მეგონა. ქვეყნის ყველა კუთხე მაქვს მოვლილი, კარგად ვიცნობ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ლაზისტანის სოფლებს, მათ კულტურას, ყოფას. აჭარა-შავშეთის ქედზე არსებული მთა ჩირუხი კი განუმეორებელია, - გვითხრა თბილისელმა გიორგი ანდრიაძემ, რომელიც ზესტაფონელ თემურ კაპანაძესთან ერთად მთა ჩირუხს სტუმრობდა.

7 აგვისტოს, «შუამთობის» დასკვნითი ღონისძიება შუახეველებმა მთა ჩირუხში გამართეს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, აქ მუდმივი სცენა გაკეთდა, რომელიც ამიერიდან მთაში გამართულ ყველა ღონისძიებას უმასპინძლებს.

- ასეთი ხალხმრავლობა ამ მთას არ ახსოვს, - გვითხრა ტომაშეთელმა ყაზბეგ ვაშაყმაძემ. - სასიამოვნო იყო წლევანდელ ზეიმზე მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლიდან სტუმრების დასწრება. მათ თავიანთი ხელოვნება გაგვაცნეს.

შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორმა რამინ ჯოიძემ, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გელა ზოიძემ «ჩირუხის ფალავნის» პრიზის მოსაპოვებლად მოჭიდავეები იხმეს.

ფინალში ერთმანეთს გუნდაურელი გოგიტა ზოიძე და დარჩიძეებელი რიჩარდ ფუტკარაძე დაუპირისპირდნენ. გამარჯვება გოგიტას ერგო.

მკლავჭიდში უძლიერესი შუბნელი კახა ებრალიძე იყო, ფეხბურთში შუბნის გუნდმა გაიმარჯვა, ფრენბურთში - ბათუმელებმა მიაღწიეს წარმატებას.

ღონისძიების წამყვანმა, შუახევის კულტურის სახლის დირექტორის მოადგილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა ვახტანგ გოგრაჭაძემ სცენაზე შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი (ხელმძღვანელი ავთანდილ დარჩიძე) «მარეთის» წევრები იხმო. მათ ზეიმზე ახალი ნომრები წარადგინეს. ანსამბლ «ზე-კართან» მოცეკვავეებმა თავისი შესრულებით მოხიბლეს მაყურებლები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ნორჩი და ვეტერანი დეკლამატორები, პოეტები. მოზეიმეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლის მერის მოადგილე რედვან ხოჯაა, ამავე ქალაქში არსებული კავკასიური კულტურის ცენტრის (დერნეგის) დირექტორი მენან ფორთოქალი.

იხ. მე-7 გვ.

ცვლილება – საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში

მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში ცვლილება შედის, რომლის მიხედვითაც ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის არსებულ ცხრა მიზანს ოთხი ახალი სტრატეგიული მიზანი ემატება.

„მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ცვლილება შედის საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში და მტკიცდება ახალი - 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს და განხორციელების ანგარიშს საქართველოს მთავრობას სამ წელიწადში ერთხელ წარუდგენს.

აღნიშნული ცვლილებით, ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის არსებულ ცხრა მიზანს ემატება ოთხი ახალი სტრატეგიული მიზანი: სახიფათო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, პლასტიკის ნარჩენების მართვა, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესება; შესაბამისად, ახალი რეალობების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ახალი ამოცანები.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზანია ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის პოლიტიკისა და მიზნების 15-წლიანი პერიოდისთვის განსაზღვრა და საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება - ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებთან ეტაპობრივი დაახლოების გზით.

ნარჩენების მართვის 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა მომზადებული იქნა ნარჩენების მართვის კოდექსისა და სტრატეგიის შესაბამისად და მასში გაწერილია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორიცაა: კანონმდებლობის სრულყოფა და მისი სრული ჰარმონიზება ევროკავშირის რეგულაციებთან; მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის სრული მიწოდება ყველა დასახლებული პუნქტისათვის; მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელების და გადამტვირთი სადგურების მოწყობა და ძველი ნაგავსაყრელების დახურვა; სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა; სახიფათო ნარჩენების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება; პლასტიკის ნარჩენების პრევენციისა და დამუშავების ღონისძიებების ხელშეწყობა; ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა; „დამბინძურებელი იხდის" პრინციპის შესაბამისად სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა; ნარჩენების რეციკლირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლებისა და ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება", - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

„თანამდებობას პირადი განცხადებით ვტოვებ"



ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. „გარდამავალი პერიოდი იქნება და სამინისტრო დაადგენს, რა ვადაში. დიდი დაწესებულებაა და ასე მარტივად, ერთ დღეში ვერ მოხდება, უნდა მოხდეს გადაბარება. მე ვტოვებ პირადი განცხადებით. მე, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, არავისთან მქონია დაპირისპირება, ეს კარგად დაიმახსოვრეთ. მე არავის ვუპირისპირდები", - განაცხადა გამყრელიძემ.

შეგახსენებთ: ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა „პალიტრანიუსის" გადაცემა „360 გრადუსში" განაცხადა, რომ ამირან გამყრელიძე დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს ტოვებს, მას დროებით ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია ჩაანაცვლებს.

ამირან ბურიელიძე

გემი, გემთმფლობელი და ტვირთი არ არის შესული საერთაშორისო სანქციების სიაში...

ასეთი განმარტება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ბათუმის ნავსადგურში 7 აგვისტოს შემოსულ რუსეთის დროშის ქვეშ მცურავ გემ OPOLYE-სთან დაკავშირებით.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საბაჟო კონტროლის პროცედურების დასრულების მიზნით, მიმდინარეობს ტვირთის დაცლა და კანონმდებლობის შესაბამისად იმპორტის პროცედურაში მოქცევა.

„აღნიშნულ გემზე დატვირთული იყო ერთ-ერთი რუსული კომპანიიდან ქართული კომპანიისთვის (უწყება თავს იკავებს კომპანიების სახელწოდებების დასახელებისგან და საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელებისგან) გამოგზავნილი, იმპორტის საბაჟო პროცედურებში მოქცევისთვის განკუთვნილი ტვირთი - 3182.642 ტონა მყარი ხელოვნური საწვავი - კოქსი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ სანქციებთან მიმართებით შემოწმდა როგორც გემი, ისე გემთმფლობელი, ასევე გემის მოძრაობის ტრაექტორია, რომელიც შეესაბამება წარმოდგენილ დოკუმენტებს.

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნულ გემზე არ ვრცელდება სანქციები და, შესაბამისად, მას მიეცა საქართველოს საზღვაო ნავსადგურში შემოსვლის ნებართვა.

ვინაიდან აღნიშნული გემი, გემთმფლობელი და ტვირთი არ არის შესული საერთაშორისო სანქციების სიაში, აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაჟო კონტროლის პროცედურების დასრულების მიზნით, მიმდინარეობს ტვირთის დაცლა და კანონმდებლობის შესაბამისად იმპორტის პროცედურაში მოქცევა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო კოორდინირებულად, მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ როგორც გემების, ასევე გემთმფლობელების შემოწმებას საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით და თუ გემი, გემის მფლობელი ან ტვირთი არის სანქციების სიაში, მას არ ეძლევა საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების უფლება", - აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის განცხადებაში.

ამირან ბურიელიძე

«აქ სიყვარული, თანადგომა, მოფერება და სამოთხე ვნახე»

სახალხო დღესასწაული

მე-6 გვერდიდან

თურქეთში შემონახული ქართული ხელოვნება გამოიტანეს სცენაზე ინეგოლის კავკასიური კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ «ჩვენებურების» (ქორეოგრაფი - ენერ ქორქმაზი-ფელევანოღლი (ფევაძე) წევრებმა.

ღონისძიების ორგანიზატორებმა და თურქეთიდან მოპატიჟებულმა სტუმრებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს. რედვან ხოჯაას, მენან ფორთოქალს, ომერ ფარუკს, ნეჯოი ვაითანს, ჯემალ აქთათურქს, დარეთინ მათთაის ძვირად ღირებული «ვეფხისტყაოსანი» უსახსოვრეს.

სცენაზე ინეგოლელმა და ადგილობრივმა მოცეკვავეებმა «განდაგანა» და «ხორუმი» ჩამოუარეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, საპატიო სტუმრებმა წარმატებულ სპორტსმენებს, ნომინაციებში გამარჯვებულ მემთეურებს მედლები, სიგელები, პრიზები და ვაუჩერები გადასცეს.

- შუამთობა» თავისი არსით სხვა დღესასწაულებისგან განსხვავდება. იგი დღემდე მოვიტანეთ მეტ-ნაკლები ცვლილებებით. მსურს ყველას მივულოცო ეს დღე, მარჯვენა შევუქო მემთეურებს. ისინი გულღია, ხელგაშლილი მასპინძლები არიან და ასეთებად დარჩებიან. მთა ჩიროხს დიდი მომავალი აქვს, განსაკუთრებით, ტურისტული პოტენციალის ათვისების მხრივ. იმედს ვიტოვებთ, რომ დაწყებული საქმეები ბოლომდე მივა, - თქვა დავით გაბაიძემ.

* * *

მთა ღომაზე ზაფხულს შუახევის მუნიციპალიტეტის ოთხი სოფლის (ცინარეთი, ლაკლაკეთი, მოფრინეთი, წაბლანა) მეცხოველეები ატარებენ. განსაკუთრებული ჰავა, ტყე და სამკურნალო წყლები დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის. სულ მალე რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულდება მთაში მყოფთა პირობების გასაუმჯობესებლად.

ღომაში მყოფთ «შუამთობის» ზეიმი მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ეფრემმა, «საპატიო შუახეველმა» რევაზ ფევაძემ.

შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლის

«ფესვების» წევრებმა, ინდივიდუალურმა მომღერლებმა თავიანთი ხელოვნება აჩვენეს.

* * *

«შუამთობა» ჩვეული ადათ-წესების დაცვით ჩატარდა სარიჩაირში, სადაც დამსწრეთ ზეიმი მიულოცეს დავით გაბაიძემ, ანზორ ბოლქვაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

* * *

მთა კატრიაზე უხუცესი მემთეური 90 წელს გადაცილებული მედინე დავითაძეა. მას და ყავრიანში, ლეკნარში, გრძელგორზე, თაგინურზე, მაწყვალთის მთაში, განდრეკილზე (შედრეკილი), მერიაყელში, საბერწიაზე მყოფ მეცხოველეებს ზეიმი შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მიულოცეს.

დირექტორი მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/08/22, 21 45 სთ.

სანდრო გეგეჭკორმა და ლიზა რამიშვილმა მსმენელთა გულები დაიპყრეს

საფესტივალო მეორე დღე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გია ყანჩელისადმი მიძღვნილი ფესტივალი გრძელდება. 7 აგვისტოს სასტუმრო „ლე მერიდიენის“ დარბაზში კამერული მუსიკის მოყვარულნი შეიკრიბნენ. არაჩვეულებრივი საღამო გვაჩუქეს ახალი თაობის მუსიკოსებმა. მათ თამამად შეიძლება უწოდო კაშკაშა ვარსკვლავები. საღამოზე სანდრო გეგეჭკორი (პიანისტი) და ლიზი რამიშვილი (ჩელისტი) წარსდგნენ

მათ გამოსვლამდე, ფესტივალის დამფუძნებელმა, ხელოვანთა კავშირ „კონცეპტArt-ის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა და პროექტის ავტორმა თეონა ჯორბენაძემ შეკრებილთ მოკლედ შეახსენა მუსიკოსების წარმატებული საქმიანობა, ისაუბრა ფესტივალის დარჩენილი დღეების პროგრამის შესახებ, რომელიც რამდენიმე საინტერესო ღონისძიებას მოიცავს.

რა თქმა უნდა, ფესტივალის თითოეული დღე დიდ მაესტროს ეძღვნება. საღამოზე ჯერ სანდრო გეგეჭკორმა დაუკრა ფორტეპიანოზე და შემდეგ ორთავე მუსიკოსი წარსდგა მსმენელის წინაშე. ეს იყო ბრწყინვალე ტანდემი. შეუძლებელია იმ ემოციის გადმოცემა, რაც მათი შესრულებისას გეუფლება. ამიტომაც დაიმსახურეს მხურვალე ტაში, ბისზე კი გია ყანჩელის მელოდიებით დაგვატკბეს. ორივე მუსიკოსს უკვე კარგად იცნობენ უცხოეთში. სანდრო გეგეჭკორს, მას შემდეგ, რაც უდიდეს წარმატებას მიაღწია ესპანეთში (საერთაშორისო კონკურსზე 17 სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრიზი მოიპოვა. ის ძალიან ბევრი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია), უკვე არაერთი მიწვევა აქვს საკმაოდ სოლიდურ სცენებზე. ეს ვირტუოზი პიანისტი სექტემბერში ამსტერდამში დაუკრავს, ოქტომბერში - მადრიდსა და მიუნხენში, ნოემბერში - გრანადაზე, დეკემბერში - ბილბაოზე, თებერვალში - ბარსელონაში.

რაც შეეხება ლიზის, ის 7 წლის ასაკიდან უკრავს ჩელოზე. თბილისში დაამთავრა ნიჭიერთა ათწლედი, შემდეგ კი გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ, ჟენევის კონსერვატორიაში ჩაბარა და სწავლა დასასრულა მადრიდის დედოფალ სოფიას სახელობის მუსიკალურ აკადემიაში. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. სამომავლოდაც გეგმავს სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობას.

აი, ასეთი საამაყო ახალგაზრდები გვყავს, რომლებიც საქართველოს უცხოეთში ასახელებენ. ნამდვილად გაგვიმართლა ბათუმელებს, რომ ფესტივალის ფარგლებში მათი მოსმენის შესაძლებლობა მოგვეცა.

- ბედნიერი ვარ იმით, რომ მსმენელია კმაყოფილი, რადგან მუსიკოსისთვის მსმენელის ოვაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ფესტივალს, მადლობა უნდა ვუთხრა თეონა ჯორბენაძეს, რომელმაც ეს ფესტივალი დააფუძნა, მადლობა ბათუმს და ქალაქის მერიას - ხელშეწყობისთვის. არაჩვეულებრივი გარემოა, შესანიშნავი როიალი და ბრწყინვალე მსმენელი, - გვითხრა სანდრო გეგეჭკორმა.

- მადლობა „კონცეპტArt-ს“, რომ შესაძლებელი გახდა ამ ფესტივალის ბათუმში ჩატარება. ძალიან მიყვარს ბათუმი, ერთი წელი აქ საბავშვო ბაღშიც კი დავდიოდი. დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ, - გვითხრა ლიზიმ.

- როგორც მუსიკოსი, ვისურვებდი, რომ სანდროს საკონცერტო როიალზე შესრულებული ნომრები მოგვესმინა. როიალი შესანიშნავად იყო აწყობილი, გამართული, ახალი, მაგრამ... ასეთი დონის მუსიკოსები უნდა უკრავდნენ მაქსიმალურად საკონცერტო გარემოში. რაც შეეხება მუსიკოსებს, ბრწყინვალე, განუმეორებელი ახალგაზრდები არიან როგორც სანდრო, ისე ლიზა. სანდრო გეგეჭკორი არაერთხელ ჩამოსულა ბათუმში და ყოველ ჯერზე საოცრად კარგი პროგრამით, აუცილებლად უნდა ვთქვა, - ის არაჩვეულებრივად, უნაკლოდ, უზადოდ უკრავს. ასევეა ლიზა რამიშვილი. იგი პირველად გამოვიდა ბათუმში, პირველად მოვისმინე და... გუშინდელი საღამოთი ბედნიერი ვარ, რადგან ფესტივალზე ამ ორ უნიჭიერეს ახალგაზრდას ერთად მოვუსმინე. ვისურვებდი, რადგანაც ფესტივალი გია ყანჩელს ეძღვნება, უფრო მეტი მისი ნაწარმოები ჟღერდეს, - გვითხრა მუსიკისმცოდნემ, პიანისტმა თამაზ ნიკოლაიშვილმა.

„ეს თაობა ღირსეულ სიტყვას იტყვის ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა 85-ე საზეიმო გაცილება გაიმართა. ღონისძიებაზე უნივერსიტეტის რექტორმა, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა წარჩინებული სწავლისთვის, აქტიური სტუდენტური ცხოვრებისა და პანდემიასთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის 190 სტუდენტს სერტიფიკატები გადასცეს და წარმატებები უსურვეს.

2022 წელს უმაღლესი სასწავლებელი ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის 1650-მა სტუდენტმა დაასრულა. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო სამედიცინო სტუდენტების მიერ საჯაროდ დადებული ფიცი, ასევე, ტრადიციულად ქუდების ჰაერში ასროლა.

ემოცია არაერთმა კურსდამთავრებულმა გაგვიზიარა. მათი თქმით, უნივერსიტეტში გატარებული თითოეული წელი ნიშნავს როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ ზრდასა და განვითარებას. ეს არის წლები, რომელმაც უამრავი ცოდნა და გამოცდილება შესძინა მათ და მისცა შესაძლებლობა, მეტი შემართებით გააგრძელონ გზა, თავისი ნიჭი მოახმარონ ქვეყნის მომავლის შენებას.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე არა მხოლოდ პროფესიული განათლება, აქ ვისწავლე ურთიერთობები, მეგობრობა. სწავლის ბოლო პერიოდი პანდემიას დაემთხვა, შესაბამისად, რაღაც ეტაპი დისტანციურ რეჟიმში წარიმართა, მაგალითად, საველე გასვლები, თუმცა უნივერსიტეტი ყველა რესურსს დებდა იმაში, რომ ჩვენთვის მაქსიმალურად კარგი განათლება მოეცა. პროფესიით ბიოლოგი, ამჟამად სტაჟორი ვარ გარემოს დაცვის სამმართველოში, რაშიც, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტიც დამეხმარა და აქ მიღებული საბაკალავრო განათლებაც, თუმცა ამ საფეხურზე გაჩერებას არ ვაპირებ, მაგისტრატურაში მინდა სწავლის გაგრძელება, რაც უფრო მეტად დამეხმარება პროფესიონალად ჩამოყალიბებაში, - გვითხრა ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა ნინო ვარშანიძემ.

- მინდა ის ემოციები გაგიზიაროთ, რაც ამ წლების განმავლობაში მივიღე უნივერსიტეტში როგორც ცხოვრებისეული, ასევე განათლების კუთხით. მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტს, მის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით - ლექტორებს ღირებული და ნაყოფიერი წლებისათვის. ვფიქრობ, მაგისტრანტის ხარისხი პრიორიტეტულია თეორიული კუთხით, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი სამუშაო ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. აუცილებელია პრაქტიკული გამოცდილება და უნარები. თუ ორივე გექნება დაბალანსებული, ამ შემთხვევაში მიაღწევ უფრო დიდ წარმატებას. უკვე ვმუშაობ - ბუღალტერი ვარ და მუდმივად ვცდილობ განვითარებას. მინდა დღევანდელი დღე მივულოცო ყველა კურსდამთავრებულს, ჩვენ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავედით და ვისურვებ, რომ ყველა მომდევნო ეტაპი წინაზე ბევრად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყოს, - გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა ნუკრი ქამადაძემ.

კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცა და წარმატებები უსურვა უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა.

- პანდემიის გამო ასეთი ცერემონია ვერ შედგა, წელს კი საშუალება მოგვეცა, განგვეახლებინა კურსდამთავრებულების საზეიმო გაცილების ეს ფორმატი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს სწავლების ყველა საფეხურზე, პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე, 1650-მდე სტუდენტი ასრულებს, რაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა მიმართულებით ჩვენს ქვეყანას შეემატება ახალი ენერგიით, ინოვაციური ცოდნით აღჭურვილი ამდენივე ადამიანი. მინდა თითოეულ მათგანს წარმატებები ვუსურვო, მჯერა, რომ ეს თაობა თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის ქვეყნისა და ჩვენი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, - განაცხადა მერაბ ხალვაშმა. მისი თქმით, ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის წლებია, ბსუ სტაბილურად ინარჩუნებს მესამე ადგილს, რაც ნიშნავს, რომ აქ სწავლაზე დიდი მოთხოვნაა.

ბსუ-ის კურსდამთავრებულთა 85-ე საიუბილეო საზეიმო გაცილება ფოიერვერკებითა და „ღამის შოუს ბენდის“ კონცერტით დასრულდა.